ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

31 (9922) • 4 agvisto • 2011 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

საკრებულოს თავმჯდომარე დეპუტატებს შენიშვნებს აძლევს



ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ დასვა შეკითხვა, ხომ არ გადაეცემოდათ გამოყოფილი თანხა იმ სკოლებს, რომლებმაც მუნიციპალიტეტიდან უკვე მიიღეს დახმარება? თუნდაც ქ. ოზურგეთის №1,2 საჯარო სკოლებს, სადაც უხარისხოდაა შესრულებული სარემონტო სამუშაოები, რაზედაც მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ტაკიძემ უარყოფითად უპასუხა და ჩამოთვალა ის სკოლები, რომლებსაც მათი აზრით თანადგომა სჭირდებათ.

ეს შენიშვნები იმ დეპუტატებს ეხებათ, რომლებიც ხშირად იგვიანებენ ან სისტემატურად არ ესწრებიან სხდომებს (სხდომას 22 დეპუტატი ესწრებოდა). არის რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც სხდომას სისტემატურად არ დასწრებიან.

ალეკო მამეშვილმა განაცხადა, რომ უდისციპლინო დეპუტატების მიმართ რეაგირება იქნება.

საკრებულოს სხდომამ 14 საკითხი განიხილა.

სხდომაზე 2011 წლის ბიუჯეტში მორიგი ცვლილებები შევიდა. ტოტალიზატორებიდან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფის სანაცვლო მიწის ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულმა და სხვა დამატებით მიღებულმა შემოსავალმა 56700 ლარი შეადგინა, რომლისგან უნდა დაფინანსდეს:

შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა–2000 ლარი; სკოლების ხელშეწყობის პროგრამა, სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი–25 000-25000 ლარი; ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამები–700 ლარი; საცხენოსნო კლუბი „მარულა“–2000 ლარი; მუნიციპალური ტრანსპორტი–2000 ლარი.

საცხენოსნო კლუბ „მარულასთან“ დაკავშირებით კი გამგებელმა განმარტა, რომ კლუბს სჭირდება ელემენტარული დახმარება, რასაც ისინი ეტაპობრივად ახორციელებენ და ახლახან „მარულას“ ცხენები აბაშაში მონაწილეობდნენ შეჯიბრში.

სასპორტო სკოლის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში ამომწურავად წარმოადგინა სკოლის დირექტორმა გოჩა კვირჩილაძემ. მისი თქმით, ტრადიციული ჭიდაობის გვერდით კვლაც აღორძინდა მძლეოსნობა. კარგი შედეგები აქვთ კალათბურთში, რაგბში, სხვა სახეობებში. ეს ყველაფერი სტიმულს აძლევთ მომავალ მუშაობაში.

სპორტის განვითარების ცენტრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარმოდგენისას ცენტრის დირექტორმა ბიძინა გობრონიძემ აღნიშნა, რომ მათთან 500 ბავშვი ვარჯიშობს და მთავარია სპორტული ცხოვრება არა მარტო თბილისში, არამედ კონჭკათში, მთისპირში, ნასაკირალში და ყველა დასახლებულ პუნქტში უნდა ჩქეფდეს.

საკრებულოს სხდომამ სხვა საკითხებიც განიხილა.

„ბახმარო უნიკალური კურორტია, მაგრამ მოუწესრიგებელი“



ასე განაცხადა ერთ-ერთმა დამსვენებელმა კურორტ ბახმაროზე გაზეთ „ალიონთან“ საუბარში. მისი თქმით, ამ უნიკალური კურორტის მთავარი პრობლემა ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობაა.

–ნახეთ რამდენი ნაგავია ცენტრალურ ადგილებშიც კი. ტუალეტების თემაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. ბევრ უბანს არ აქვს წყალი.

დამსვენებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ელექტროენერგიის ღირებულებასთან დაკავშირებით.

–ახლა აწესრიგებენ ხაზებს. ხშირად ელექრონის ბოძი 50-დან 100 მეტრამდეა დაცილებული სახლთან. ერთი მეტრი ალუმინის სადენი ლარი ღირს. ამას დაუმატეთ სადენების გაყვანის ღირებულება, ელექტროენერგიის გადასახადი 50 ლარი და მიხვდებით, რა ღირს ელექტროენერგია –ამბობენ ისინი.

ბრძოლა დათვთან

ნუგზარ ასათიანი

გაზეთ „ალიონის“ წინა ნომერში (25. VII, №30) ვწერდით სოფ. მთისპირში დათვის ადამიანზე თავდასხმის შესახებ. დათვთან ბრძოლაში დაჭრილი ილია მარკოიძე მკურნალობის კურსს ოზურგეთის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გადიოდა. იგი სოფ. მთისპირის მაჟორიტარ დეპუტატ ავთო ნემსაძესთან ერთად მოვინახულეთ..

ილია მარკოიძე: –სოფ. მთისპირში, უკანავას ბოლოს, ილოსქედში ორი ოჯახი ვცხოვრობდით. საუკეთესო ადგილია, მაგრამ ნადირმა ისე შეგვავიწროვა, იმდენი ზარალი მოგვაყენა, იძულებული გავხდით და შედარებით უფრო დასახლებულ უკანავაში გადმოვედით. ძველ ნასახლარზე ყანას ვთესავ, მაგრამ დათვი ანადგურებს მოსავალს, თხილსაც გემრიელად შეექცევა და ხილს. ახალგაზრდა ნარგავები დაამტვრია.

სანამ უკანავაში გადმოვიდოდი, დათვს რამდენჯერმე შევყრილვარ ტყეში. უმეტესად შავ დათვს ვნახულობდი, ზურგზე ჭარბად აქვს ბეწვი, ერთხელ თეთრი ფერის დათვსაც გადავეყარე, ბელებთან ერთად იყო. დათვები ძირითადად თხებს ერჩოდნენ და მქონდა შემთხვევა, ზურგზე აკიდებული თხა დავატოვებინე.

რაც 22 ივლისს შემემთხვა, განსაკუთრებული იყო.

მთის სოფელში რომ ცხოვრობ და მესაქონლეობას მისდევ, კარგი ძაღლები უნდა გყავდეს. მით უმეტეს, ახლა, როდესაც უკანავა-ვანისქედში მგელი და დათვი დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას. საქონელს სბალახოდ რომ გავუშვებდი, ძაღლები თან მიჰყვებოდნენ. ბოლო დღეებში საღამოობით მესმოდა ძაღლების ყეფა, მაგრამ ყურადღება მოვადუნე. საქონელი სახლში ბრუნდებოდა. საქონელს როდესაც ძაღლები ახლავს, დათვი ერთბაშად არ ესხმის თავს. ძალიან ფრთხილი ნადირია და აკვირდება, რატომ ყეფს ძაღლი, პატრონი ხომ არ არის სადმე ახლო. ამ შემთხვევაში, რამდენიმე დღიანი დაკვირვებით, დარწმუნდა, რომ ძაღლების ყეფაზე ადამიანის რეაგირება არ იყო და ოჯახის მარჩენალ ფურს დაესხა თავს.

საქონელი რომ არ მოვიდა, ნაჯახი ავიღე (ვიფიქრე საზვინე ხეს მოვჭრი მეთქი) და შევუდექი საკალმახე ღელეს. უფრო გამოცდილი კავკასიური ნაგაზი რატომღაც შინ დავტოვე.

ჩემი ძაღლების ყეფის ხმა ნაყორალას (ადგილია საკალმახე ღელის მიდამოებში) ისმოდა. ბუჩქნარში უცებ წავადექი დათვს თავს. პატარა ვაკე ადგილზე, ჩემგან ხუთიოდ მეტრში, ტორით დიდი ქვა ეკავა და მის მიერ გაკეთებულ ყორეს უმატებდა. ძროხის თავი რომ დავინახე, მივხდი „ნანადირევს“ საგულდაგულოდ მალავდა.

კავკასიური მურა დათვი იყო, დიდი ზომის მამრი, ზურგზე ლომივით ეყარა ფაფარი. ქვა ვესროლე, იქნებ გაგვეცალოს მეთქი, მაგრამ როგორც კი ქვა მოხვდა, შემოტრიალდა და უცებ წამოვიდა იერიშზე. გასაქცევი არ მქონდა, (რომ გავქცეულიყავი გამომეკიდებოდა და უარესი იყო), ნაჯახი მოვიმარჯვე და გადავწყვიტე დაჯახებისთანავე თავში დამერტყა, მაგრამ დათვმა თავი ამარიდა, მხარი დამარტყა და კლდესთან მიმაგდო. ამ მომენტში ძაღლმაც შეუღრინა. წამით უკან მიიხედა და ლაჯებში ჩამავლო ბასრი კბილები. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვიყავი. არ ვიცი, რა ძალა გამოვნახე, ნაჯახი ორთავე ხელით აღვმართე და ზურგში ჩავარტყი. დარტყმა ძლიერი გამომივიდა, დათვს თქრიალით წამოუვიდა სისხლი და გაიქცა.

გადავრჩი... იქვე მოჩიხული 2 ხბო გამოვდენე და სოფლისკენ დავეშვი. აუტანელი ტკივილი მაწუხებდა. ჭრილობიდან სისხლი მდიოდა, ხორცის მცირე ნაგლეჯები ცვიოდა. საათნახევარი ვიარე, ჩამოვაღწიე სოფელში, სასწრაფო სამედიცინო სამსახურს დავუკავშირდი და დრო რომ არ დამეკარგა, მეზობლის მანქანით წამოვედი ოზურგეთში. სასწრაფო ბრიგადა მშვიდობაურში შეგვხდა და იქ გამიწიეს პირველი სამედიცინო დახმარება. შემდეგ საავადმყოფოში ქირურგმა ლეო თოიძემ გამიკეთა ოპერაცია.

12 დღეა ვწევარ საავადმყოფოში, ეს გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. იმედია, ხელისუფლება გამიწევს დახმარებას.“

სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი შეპირდა დაზარალებულს, რომ იზრუნებს მის დასახმარებლად.

საჯარო განხილვაზე

ამერიკის საერთაშორისო განვითარების ფონდმა (**usaid**) ქ. ოზურგეთში, დემოკრატიული მმართველობის პროგრამის ფარგლებში საჯარო ადმინისტრირების, სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი თვითმმართველობის თემის საჯარო განხილვა მოაწყო.

პროექტის მენეჯერმა ლევან ტაბატაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების კომპონენტის უფროსის მოადგილე მარიამ გორგაძემ, პროგრამის კოორდინატორმა თამარ აბდალაძემ ჟურნალისტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ესაუბრნენ ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაზე, ელექტრონული მართვის სისტემის ხელშეწყობაზე, მუნიციპალიტეტის დახმარების გეგმაზე და ა.შ.

მათი თქმით მედია (ადგილობრივი ტელევიზია, გაზეთები) მეტად უნდა ჩაერთოს ამ პროცესებში, რათა მოსახლეობამდე მეტი ინფორმაცია მივიდეს.

პოლიტიკური ანგარიშსწორება?

სოფ. ჯუმათის საჯარო სკოლის დირექტორის ნესტორ მეგრელაძის გათავისუფლების მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დროს ჯუმათში თავისუფალი დემოკრატებიდან კენჭს იყრიდა ნესტორის ცოლის ძმა ლერი ჩხარტიშვილი. მაშინდელმა ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა დაიბარეს ნესტორ მეგრელაძე და განახორციელენ ზეწოლა მუქარა თუ არ მოიხსნებოდა ლერის კანდიდატურა, მას პრობლემები შეექმნებოდა სამსახურში, მაშინ ეს ვერ განახორციელეს გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამროგორც ნახეთ ამ დღეებში მუქარა მაინც შეასრულეს.

გვ-2

პოლიტიკური ანგარიშსწორება?

26 წელია, როგორც დირექტორი ჯუმათის საშუალო სკოლას შესანიშნავ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად ღირსეულად და პატიოსნად ხელმძღვანელობდა ბატონი ნესტორ მეგრელაძე, მათ მეტად რთულ პირობებში მრავალი თაობა აზიარეს განათლების საფუძველს. ბატონი ნესტორის უშუალო ძალისხმევით შეცვლილი იქნა სკოლის შენობის სახურავი, ფანჯრები და ნაწილობრივ იატაკი (სიფის პროგრამით) ფაქტიურად გადარჩენილი იქნა უნიკალური შენობა დანგრევას. გასულ წელს ახლად შეცვლილი ხის ფანჯრები შეიცვალა მეტალოპლასმასის ფანჯრებით, მაშინ როდესაც სკოლაში არ ფუნქციონირებს პირველი სართულის ნახევარი,შესასვლელი ფოე და დაზიანებულია იატაკი.სოფლის ინფრასტრუქტურული განვითარების პროგრამით 8000 ლარამდე დაიხარჯა გაკეთებული წყაროს თითქოს ხელახლა გაკეთებისათვის, ათითასობით ლარი დაიხარჯა გზის შეკეთებისათვის. რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ეს გზა შეკეთდა ქობულეთიდან მოყვანილი ტექნიკით (ტენდერში გამარჯვებით) როდესაც სოფელს ყავს თავისი ტექნიკა, ექსკავატორი და მუშა ხელი და გზა რომელიც მონასტერზე მიდის მთლიანად ამორტიზირებულია.სკოლაზე არ არის კეთილმოწყობილი მოედანი. თითქოს სკოლა და მისი შენობა არ იყოს სოფლის ინფრასტუქტურის ნაწილი, ფაქტია ის, რომ ეს ყველაფერი ბოლო პერიოდში მიზანმიმართულად კეთდებოდა. აბა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ ღამის საათებში იბარებენ სკოლის დირექტორს და ეუბნებიან, მინისტრის ბრძანებით გათავისუფლებული ხარ თანამდებობიდანო, თითქოს ის 26 წელი სკოლის გუშაგი იყო წესიერად არც კი ეუბნებიან გათავისუფლების მიზეზს. მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დროს ჯუმათში თავისუფალი დემოკრატებიდან კენჭს იყრიდა ნესტორის ცოლის ძმა ლერი ჩხარტიშვილი. მაშინდელმა ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა დაიბარეს ნესტორ მეგრელაძე და განახორციელენ ზეწოლა, მუქარა. თუ არ მოიხსნებოდა ლერის კანდიდატურა, მას პრობლემები შეექმნებოდა სამსახურში. მაშინ ეს ვერ განახორციელეს გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ როგორც ნახეთ ამ დღეებში მუქარა მაინც შეასრულეს,

ხომ შეიძლებოდა დამსახურებული პიროვნება ღირსეულად დაითხოვო სამსახურიდან, თუნდაც სიტყვიერი მადლობით - ის ხომ ღირსების ორდენს არ მოითხოვდა. ეს არის პოლიტიკა იმისა რომ ვის რაში ჭირდება გამოცდილი და პატიოსანი ადამიანი, მთავარია ნაც.მოძრაობის წევრი და მომხრე იყო. რა საჭიროა გამოცდილება, წერა-კითხვის ცოდნა, - როცა დაგავალებენ კედელს უნდა შეასკდე არ უნდა იკითხო რატომ და რისთვის.

ტ. ჩხარტიშვილი.
სოფ.ჯუმათი

„იადონი“ - „არტ-გენი“ -2011-ის სტუმარი

ქ. თბილისის მერიის თანაორგანიზატორობით მე-8 წელია ტრადიციული სახალხო ფესტივალი „არტ-გენი“ იმართება. ფესტივალის მიზანია ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია და მის ფარგლებს გარეთ გატანა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულ სიმღერის და ცეკვის ფოლკლორულ ანსამბლ „იადონს“ (ხელ-ლი ბიძინა მჟავია, ქორეოგრაფი ვაჟა ახვლედიანი), წელს საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი გამოსვლა გამოუვიდა.

ქ. თბილიში, გ. ჩიტიას სახელობის ქართული ხეროთმოძღვრების და ყოფის სახელობის მუზეუმში 22 ივლისს „არტ-გენზე“ ანსამბლი „იადონი“ წარსდგა.

ამ დღეს ფოლკლორულ კონცერტში მონაწილეობას ქვემო სვანეთი და გურია იღებდა. გურიიდან სამივე მუნიციპალიტეტის ანსამბლები იყო წარდგენილი.

„იადონმა“ 8 ფოლკლორული სიმღერა შეასრულა, აქედან 2 ცეკვის თანხლებით.

ანსამბლმა ახალი ინტერპრეტაცია შეიტანა თავის გამოსვლაში, რადგან იმ დღის დახურვა „იადონს“ ერგო წილად. ანსამბლის ხელმძღვანელმა, ბატონმა ბიძინა მჟავიამ გააერთიანა ოზურგეთისა და ლანჩხუთის (მამათის) სახალხო ანსამბლი „ხელხვავი“ და მაყურებელთა წინაშე წარადგინა სიმღერა მხედრულით (ცეკვის თანხლებით). ფოლკლორული ნაწილის დახურვის შემდეგ ზუმბას კონცერტი გაიმართა.

ჟურნალ „არტგენმა“ ვრცელი ინტერვიუ ჩაიწერა ანსამბლ „იადონის“ ხელმძღვანელისაგან.

შემთხვევა გომისმთაზე

მას შემდეგ, რაც ოზურგეთი-გომი-გომისმთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა და კურორტ გომისმთაზე მსუბუქი ავტომანქანებით გადაადგილება შესაძლებელი გახდა, დამსვენებელთა რიცხვმა იმატა.

როგორც სოფ. შემოქმედის რწმუნებულმა ბესო ლომინაძემ გვითხრა, 25 ივლისს კურორტ გომისმთაზე ოზურგეთელი ლია დუმბაძე შვილებთან და მეზობლის ბავშვთან ერთად გაუჩინარდა. მეზობლები ყვებოდნენ, რომ ლია ბავშვებთან ერთად სასეირნოდ მდინარის ხეობაში ჩავიდა. შემდეგ ამინდი შეიცვალა, გაწვიმდა, ჩამოწვა ნისლი და საღამოს არ გამოჩენილან. იმ დღეს ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

ბესო ლომინაძე თანასოფლელს, შპს „გზამშენი 18“-ის ხელმძრვანელს თემურ ჯახვას დაუკავშირდა და დახმარება სთხოვა. თემურმა ტრანსპორტისათვის საჭირო საწვავი გადასცა მათ დაკარგულების ძებნაში სამაშველო სამსახური ჩაერთო.

თავდაპირველად ძებნა მდინარე ბჟუჟის და მისი შენაკადის ხეობებში დაიწყეს. ბატონი ბესოს თქმით, ქალბატონ ლიას და ბავშვებს ისეთი ციცაბოებზე ევლოთ, რომ დიდსაც გაუჭირდებოდა. ძებნა ძირითადად კურორტის მიმდებარე რამდენიმე კილომეტრიან რადიუსში მიმდინარეობდა და ძნელად წარმოსადგენი იყო, დაკარგულები გომისმთიდან შორს, „ნარუსალას“ მთის მიმდებარე ტერიტორიაზე თუ აღმოჩნდებოდნენ. როგორც ჩანს, მათ „მხარი ეცვალათ“ და თანდათან შორდებოდნენ კურორტს. ბატონი ბესოს თქმით, ერთ ადგილას ნაკვალევს წააწყდნენ, დაესვენათ და „საგზალი“ ეჭამათ. საჭმლის ნარჩენებს დათვის ბელი სტუმრებოდა...

მაშველებმა საძიებო პერიმეტრი გააფართოეს და ბოლოს მთის წვერზე წყემსის კარავში იპოვეს დაკარგულები. მათ ღამით ეპოვათ კარავი და ნადირისაგან დასაცავად თავის შეეფარებინათ.

საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დასრულდა. ქალბატონ ლიასთან ერთად მყოფი ბავშვებიდან უფროსი 14 წლის იყო, უმცროსი 7 წლის.

ბესო ლომინაძემ გვთხოვა მადლობა გადაგვეხადა გურიის სამაშველო სამსახურისათვის და ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც მონაწილეობდა ძებნაში, მათ შორის მონადირე ალექსანდრე აფციაურისათვის.

ლიხაურის საჭიდაო სკოლა საკრებულოს თავმჯდომარემ მოინახულა

ზაფხულია და ოზურგეთელი ბერძნულრომაული სტილით მოჭიდავეები საშემოდგომო ტურნირებისთვის ემზადებიან. ზოგი ადგილზე გადის მზადებას, ზოგი ბახმაროში.

როგორც ლიხაურის საჭიდაო სკოლის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბოლქვაძემ გვითხრა, მისი აღსაზრდელები (40 ბავშვი) მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპს ლიხაურში გადიოდნენ. მათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი ესტუმრათ და საჩუქრები გადასცა.

ალ. ბოლქვაძის თქმით, ისინი ამ დღეებში კურორტ ბახმაროში გადაინაცვლებენ და წვრთნას იქ გააგრძელებენ.

ბახმაროშივე გაივლიან საწვრთნელ ეტაპს ძმები ზურაბიანების მოსწავლეებიც.

გაზეთ „ალიონის მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „ალიონი“ საბინაო და სხვა შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად, დროებით (რამდენიმე კვირით) წყვეტს გამოსვლას. პრობლემების მოგვარებისთანავე რედაქცია განაახლებს გაზეთის გამოშვებას.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია.

საქართველოში საწვავი ისევ გაძვირდა

საქართველოში საწვავი კიდევ ერთხელ გაძვირდა. ბოლო გაიაფება მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასი მსოფლიო ბირჟებზე თითქმის არ შეცვლილა, საქართველოში საწვავი ისევ გაძვირდა.

ბენზინგასამართ სადგურებზე ყველა სახის საწვავზე ფასმა ხუთი თეთრით მოიმატა. ზაფხულის პერიოდში ნავთობის საცალო ბაზარზე ფასი უკვე მესამედ შეიცვალა.

ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე საწვავის ფასის მატებას მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებს უკავშირებს. მისი თქმით, იმის გამო, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიები შესყიდვებს "პლაცის" ფასის მიხედვით ახორციელებენ, საცალო ქსელში ფასი სწორედ ამის მიხედვით დგინდება.

შეგახსენებთ: მსოფლიოს ნომერ პირველ, ნიუ–იორკის ბირჟაზე ბოლო ვაჭრობის შედეგად ბარელი ნავთობის ფასი 93,79 დოლარამდე დაეცა.

comersant.ge

სოფელი ოზურგეთი

სოფელ ოზურგეთს, ისე როგორც ამავე სახელწოდების ქალაქის დასაბამი ათასწლეულების მიღმა იკარგება.

ერთსიც და მეორეშიც მთავარი სული მდინარეებმა ჩაუდგეს; სოფელს მდინარე ნატანების შორეულმა წინაპარმა, ხოლო მეორეს– ბჟუჟის და აჭისწყლის ასევე ძველისძველმა წინაპრებმა.

არც ისე დიდი ხანია, რაც უახლოესი ქართული საისტორიო მწერლობის მამამთავარმა, აკადემიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა (1890-1965) პირველმა წარმატებით დანერგა „სანათესაო“ (სატომო) არქეოლოგია და ვისაც კი რამდენადმე მაინც კი ჩაეხედება ამ დარგში, მისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ ჩვენი ისტორიული ძეგლების რა ნაწილი უნდა იყოს სვანური და რომელი სხვათა.

წინ წავიდა ენათმეცნიერებაც. კარგახანია არც ერთ პროფესიონალს არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ სახელწოდება ოზურგეთის ძირი („ზუგი“), ისე, როგორც თანამედროვე ოდიშის გულის (ზუგდიდის) პირველი ნაწილი („ზუგ“-ი)სვანური წარმომავლობისაა.

ამათგან პირველის ზემო ქრონოლოგიური საზღვარი ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულს ვერ გადმოცილდება, ხოლო მეორის იგივე საზღვარი –ადრე შუასაუკუნეებს.

დროთა განმავლობაში ამ „ნათესავთა“ სამკვიდროზე სხვა „ნათესავი“ გაბატონდა, ხოლო მოგვიანებით კიდევ სხვა, რასაც, ბუნებრივია, საგეოგრაფიო სახელთა შეცვლა მოჰყვა (ზოგან სრული, ზოგან კი–ნაწილობრივი).

ადრინდელმა „ზუგ“-მა ჯერ „ოზუგე“-ს ფორმა მიიღო, ხოლო შემდეგ–„ოზურგეთ“–ის.

როგორი წარმომავლობის იყო თანამედროვე სოფელი ოზურგეთის უძველესი სახელი, ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის, ხოლო გვიან შუა საუკუნეების „ეწერი“ არც ისე მეტყველია და მარტოოდენ სოფლის ნიადაგის რაობაზე მიგვანიშნებს. 1914 წელს „ეწერს“ ზურგი შეაქციეს და ნატანებისპირა სოფელსაც მეზობელი ქალაქის სახელი („ოზურგეთი“) უწოდეს.

ამ საგეოგრაფიო სახელმა ამჯერად ოციოდე წელიწადს გაძლო მხოლოდ და ადგილი „მახარაძეს“ დაუთმო.

„მახარაძემ“ უფრო დიდხანს იარსება და მისი მზეც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღდგენის შუქზე ჩაესვენა.

ამ დროს, როგორც სოფელს, ისე ქალაქსაც კვლავ ძველი სახელები დაუბრუნდათ.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

იური ჩიხლაძის ხსოვნას



ქართულმა მიწამ კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი მიიბარა, ხალხურ საკრავთა ცნობილი ოსტატი, არაერთი რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, გრან-პრის მფლობელი იური ჩიხლაძე.

იური ჩიხლაძე 45 წლის იყო. მან ამ დროში მოასწრო ხალხური საკრავების უბადლო ოსტატის სახელის მოხვეჭაც და ქართველი და უცხოელი მაყურებლის დიდი სიყვარულის მოპოვება. ანსამბლი „ედელვაისი“ წარმატებით გამოდიოდა როგორც საქართველოში, ისე ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში...

იურიმ საკმაოდ გრძელი გზა გაიარა, სანამ დიდ ხელოვნებას ეზიარებოდა. დაახლოებით 25 წლის წინ, ორ მეგობართან ერთად საქართველოს ყველა კუთხეში მოგზაურობდა და იმპროვიზირებულ კონცერტებს მართავდა. ალბათ იმ წლებში მოკრიბა საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიმღერის მარგალიტები.

ოზურგეთის საზოგადოებას ახსოვს 1989 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ ეროვნული მოძრაობის გვერდით მდგომი იური ჩიხლაძე, რომელიც არასდროს არ ყოფილა რომელიმე მხარე, არამედ მისთვის სამშობლო იყო უპირველესი საფიცარი.

მახსოვს, როგორი მოკრძალებით მოიტანა თავისი ლექსები რედაქციაში, რომელიც პირველად ნინო თოიძის საზოგადოების გაზეთ „ლეხოურში“ დაიბეჭდა. შემდეგ მეგობრების დახმარებით ლექსების კრებულიც გამოსცა.

იქნებ სხვა ვინმეს მსგავსი გაუკეთებია საქართველოში, მაგრამ იური ჩიხლაძისაგან და მისი ერთგული მეუღლისაგან ადვილი არ იყო ოთხი უპოვარი ბავშვის შვილად აყვანა და მათი აღზრდისათვის გაწეული ღვაწლი.

ერთხანს ტაძარში მგალობელთა ჯგუფში იყო. ცხოვრებაში უკანასკნელს თეთრს გაიღებდა, რომ სხვას დახმარებოდა.

ცნობილი მხატვარი ვახტან მამეიშვილი იგონებს:–„ეს რამდენიმე წლის წინ იყო. სოფლიდან ისე წამოვედი, ფული არ მქონდა, არადა პური უნდა მეყიდა. „ჭადრების ბაღში“ იური ჩიხლაძე შემხვდა და საუბარში ჩემი იმ დღის გასაჭირი წამომცდა.

–მე მოგცემო, –მითხრა.

–შენ ჩემზე უფრო უპოვარი ხარ და როგორ მომცემ-მეთქი –შევეპასუხე.

–მე ღმერთი მომცემსო–მითხრა და ფული გამომოწოდა.

ასეთი იყო იგი, კაცს სახლი და კარი არ ქონდა და სხვას უკანასკნელ ლუკმას გაუყოფდა.“

იური ჩიხლაძეს საზოგადოება სცემდა პატივს. იგი ყველას უნაწილებდა სითბოს, მდიდარს თუ ღარიბს, ქრისტიანს თუ სხვა აღმსარებლობის მქონეს... განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. მუსიკალურ სკოლასთან არსებულ ანსამბლ „პირველი სხივის“ წევრებს ნიჭსა და ენერგიას უშურველად გადასცემდა.

მისი ნიჭის თაყვანისმცემლებიდან ზოგი „ნიკალა პაპას“ უწოდებდა. ამის მიზეზი მისი გარეგნობა, ხატვის ნიჭი და მხატვართა თავშეყრის ადგილ, ბარ „ნიკალასთან“ ასოცირდებოდა. გამოფენაც მოაწყო წლების წინ. მისი ნამუშევრები ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ– სურათების გალერეაშია დაცული.

ბოლო პერიოდში მეგობრებთან ამ ქვეყნიდან გასვლაზე საუბრობდა. წინასწარ გრძნობდა, რომ მარადისობაში უნდა გადასახლებულიყო.

ზესტაფონთან მომხდარი ავარიაც მისი ცხოვრების ერთი ფურცელი იყო. ქუთაისის სამედიცინო ცენტრში 16 საათის განმავლობაში ელოდებოდა მძიმედ დაშავებული, როდის დართავდნენ ექიმებს ჯანდაცვის „რეფორმის“ მესვეურნი ოპერაციის უფლებას ქვეყნისათვის დამაშვრალი ხელოვანის გადასარჩენად. თუმცა ამაო იყო იმედი. საჭირო თანხის ჩარიცხვის შემდეგ გაიცა ოპერაციის ბრძანება. სიკვდილის პირას მყოფმა ძალა მოიკრიბა და მღვდელს უხმო, რომ უკანასკნელად ეზიარებინა იგი.

დაგვიანებული ურთულესი ოპერაციების შემდეგ 9 დღე ებრძოდა სიკვდილს „ნიკალა პაპას“ დამტვრეული სხეული, მაგრამ სულმა სძლია სხეულს და შეუდგა მარადისობის აღმართს.

მეგობრების სახელით,

ნუგზარ ასათიანი

„სილამაზეს საფლავებში ჩავიტანთ“

საწუთროდან ასე ნაადრევად წასული და მარად კეთილად მოსაგონარი მრავალმხრივი ნიჭიერი შემომქმედი, ბატონი იური ჩიხლაძე თავის ერთ მშვენიერ ლექსს, რომელიც 1991 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლეხოურში,“ ასე ამთავრებდა:

„თუ დაგვჭირდა ძვლებურად
გავმგელდებით,
ქართულ დროშებს ვარსკვლავებში
ავიტანთ,
სიკვდილშიაც ლამაზი ვართ
ქართველები,
სილამაზეს საფლავებშიც
ჩავიტანთ.

ამ სტრიქონების ავტორს, თავისი ხანმოკლე სიცოცხლისას, ერთი სიტყვაც არ დასცდენია ისეთი, რომელიც საქმედ არ ექცია და მისი სამაგალითო სულიერი და ხორციელი სილამაზეც ახლახან გაჭრილ ექადიის უკვდავების სავანეში ჩაიტანა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ასე უდროოდ შეწყდა ქართველი ხალხის ამ ბრწყინვალე შემოქმედის ცხოვრება და რამდენი კარგი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი.

და ყველაფერი ეს, მარტოოდ საქართველოს კი არა, მთელს მსოფლიოს დააკლდა.

დააკლდა ბალტიისპირეთს, დააკლდა ესპანეთს, დააკლდა სხვა ქვეყნებსაც, სადაც მას ყოველთვის მომაჯადოებლად შეჰქონდა ქართული ხალხური, საესტრადო თუ კლასიკური მუსიკის უნიკალური შედევრები.

ბატონ იურის მხატვრობის ნიჭიც ხელშესახებად მოდგამდა, რომელიც არა მარტო საზოგადოებას ანცვიფრებდა, არამედ პროფესიონალების აღფრთოვანებასაც იწვევდა.

„ედელვაისის“ დამფუძნებელს, ჩინებულ პოეტს, მხატვარს და ბრწყინვალე დეკლამატორს ბატონ იური ჩიხლაძეს დავიწყება არ უწერია.

მისი დიდი სამეგობრო მას არც იმ დიდი წიგნის გარეშე დატოვებს, რომელმაც საუკუნეებს უნდა გადასცეს ამ თაკარა გულის პატრონი, უნიჭიერესი ქართველი კაცის წარუშლელი ხსოვნა.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

„ნიკალა პაპას“ ჩვენ საკადრის პატივს მივაგებთ

ხალხური საკრავების ცნობილი ოსტატის, ანსამბლების „ედელვაისის“ და „პირველი სხივის“ ხელმძღვანელის, იური ჩიხლაძის დაკრძალვაზე არაერთი ცნობილი ხელოვანი ჩამოვიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მათ შორის იყო წარმოშობით ოზურგეთელი, ქართული ესტრადის ცნობილი სახე, ანსამბლ „ივერიის“ სოლისტი **ნუგზარ კვაშალი.** მან ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა:

– იური ჩიხლაძე კარგი ხელოვანი იყო. მასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. არასდროს არ გეტყოდა, თუ რაიმე პრობლემა აწუხებდა. ახლა გავიგე, თურმე საცხოვრებელი სახლიც არ ჰქონია. გადავწყვიტე, რომ ოზურგეთში დიდი საქველმოქმედო კონცერტი გავმართოთ. ტელეფონით დავუკავშირდი ჩემს მეგობრებს და ისინიც თანახმა არიან, ოზურგეთში ჩამოვიდნენ. ვიცი, ადგილობრივი ხელისუფლება ფინასურად დაეხმარება იურის ოჯახს, მაგრამ ჩვენც დავეხმარებით „ნიკალა პაპას“ ოჯახს. ისეთ კონცერტს გავმართავთ, მის ხსოვნას რომ ეკადრება.

კონცერტი საქველმოქმედო იქნება და როგორი ფორმით ამის გარკვევაში, ასევე სცენის მოწყობაში ადგილობრივი კულტურის სამსახურები დაგვახმარებიან.

თამაზ სალუქვაძე

ლექსები

სიცოცხლის დროები

ვიცი, აღარ დაბრუნდება
გაზაფხული, ზაფხული,
კიდევ უფრო დაბინდდება
ყოფა უკუღმართული.
მორჩა ჭირი, ლხინი, ნდობა,
განსჯა ტყუილ-მართალის,
უკვე განვლე შემოდგომა,
დადგა ჩემი ზამთარიც!

არქეოლოგის გასაუბრება მის მიერ აღმოჩენილ ჩონჩხთან

–დიდი ხანია აქ რომ წევხარ
Без дихания?
ააჩხარუნა ჩონჩმა თავი:
–დიდი ხანია.
–აი, მოვედით, მოგაგენით,
არ გიხარია?
–აბა, რა გითხრათ,
ვიყავი ჩემთვის...
აქ სიწყნარეა და სიმშვიდე,
მანდ დომხალია.
(ჩონჩხის არ იყოს,
სად სჯობია, საკითხავია!)

ტკივილი ჩემი

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
სამშობლო ჩემი ფარავდა,
დღეს კი, ჭინჭრაქის სადარად,
ის სულ მთლად დაპატარავდა.
მე კარგად ვიცი რისი ბრალია,
რატომღა გავხდით ასე პატარა,
ჩვენ ისტორიამ შურით, შუღლითა და
ღალატის ფლიდი გზებით გვატარა.

მურმან დუნდუა.

ჩოგბურთი

ოზურგეთის ღია პირველობა დასრულდა, ჟანი კალანდაძის ხსოვნის ტურნირი დაიწყო

დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ღია პირველობა ჩოგბურთში, რომელშიც მუნიციპალიტეტთან არსებული საჩოგბურთო სკოლის აღზრდილები გამოდიოდნენ.

ვაჟთა ტურნირში 8 მონაწილეს შორის ფინალში თანატოლები, 15 წლის ირაკლი კაცაძე (გაბრ. ეპისკოპოსის სახ. სამრევლო სკოლა) და საბა ბურჭულაძე (წმ. ნინოს სახ. სასულიერო სკოლა) შეხვდენენ ერთმანეთს. ირაკლი კაცაძემ (6:0, 6:2) დაამარცხა მეტოქე და ჩემპიონი გახდა.

გოგონათა შორისაც 8 მონაწილე გამოდიოდა. ფინალში სოფო გელაშვილმა დაამარცხა სალომე ესაძე (6:2, 6:3) და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

მოეწყო გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოება.

ღია პირველობის დასრულების შემდეგ დაიწყო ტრაგიკულად დაღუპული გურიის ყოფილი გუბერნატორის, ჟანი კალანდაძის ხსოვნის ტურნირი, რომელშიც 16 ჩოგბურთელი მონაწილეობს.

ფინალური შეხვედრა ჟანის დაბადების დღეს,–7 აგვისტოს გაიმართება.

შავი ზღვის თასზე

ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი შავი ზღვის თასზე კინბოქსინგში კადეტებსა და ახალგაზრდებს შორის. ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები.

67კგ. წონით კატეგორიაში პირველი იყო არტურ დავოიანი. 56 და 60 კგ. წონით კატეგორიებში II ადგილებზე გამოვიდნენ გიორგი თავართქილაძე და გიორგი ქარჩავა.

ახალგაზრდებში (56 კგ.) მამუკა აპლატუნოვი მეორე ადგილზე გამოვიდა. (მწვრთნელი იულონ საჯაია).

სს "საქართველოს ბანკი"
აცხადებს ვაკანსიას
ოზურგეთში
გაყიდვების მენეჯერის
თანამდებობაზე

ძირითადი მოვალეობები:

1. ბანკის პოტენციური მომხმარებლებისთვის განვადების პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
2. მომხმარებლებისთვის განვადების პროდუქტების შეთავაზება და განვადების პროცედურის განხორციელება.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. **განათლება:** უმაღლესი (სტუდენტი) - სასურველია ფინანსები, ეკონომიკა, საბანკო საქმე, ბიზნეს ადმინისტრირება;
2. **სამუშაო გამოცდილება:** სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო გაყიდვების და/ან მომსახურების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

აუცილებელი ცოდნა და უნარები:

1. კომპიუტერული პროგრამები: **MS Office (Word, Excel, Power Point), Internet;;**
2. სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
3. მომსახურების და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები;
4. კომუნიკაბელურობა, ორგანიზებულობა, გუნდური მუშაობის უნარი;
5. პასუხისმგებლობისა და კონფიდენციალობის დაცვის უნარი;
6. ყურადღება დეტალების მიმართ, ემოციური წონასწორობა.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს "საქართველოს ბანკის" საპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ოზურგეთი, გურიის 18, სს "საქართველოს ბანკის" ოზურგეთის სერვისცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regionjob@bog.ge (გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი მონაცემები არ განიხილება)

მონაცემების დატოვება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ოზურგეთი, გურიის 18, სს "საქართველოს ბანკის" ოზურგეთის სერვისცენტრი

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 17 აგვისტო, 2011 წელი.

ტაქსი გამოძახებით

დაბა ურეკს „მერსედესის," „ფოლცვაგენის" და „ოპელის" მარკის კომფორტული ავტომანქანები ემსახურებიან 24 საათის განმავლობაში.

დარეკეთ:
549 67 58 44;
8790 55 44 55;

სიახლე: ოზურგეთი-გომის მთა

ოზურგეთი—გომისმთის მიმართულებით ყოველდღიურად ოზურგეთის მეორე ავტოსადგურიდან (გმირთა მოედნის მიმდებარე) გადის „ფორდ-ტრანზიტის" და „მერსედესის" მარკის მიკროავტობუსები.

მგზავრობის ღირებულება 5 ლარი.
გასვლა ოზურგეთიდან 10 საათსა და 30 წუთზე.
გამოსვლა კურორტ გომისმთიდან 16 საათზე.

სააქციო საზოგადოება „ტრანსერვისის" დირექცია.

მეგობრის მონატრება
ომარ ხინთიბიძე

საწუთროდან ბევრი ღირსეული ოზურგეთელი წავიდა ბოლო პერიოდში, ერთ-ერთი მათგანი მელექედურელი ომარ ხინთიბიძე იყო.

ჩემო საყვარელო ძმაო ომარ! ორმოცი დღე გვაშორებს, რაც ჩემი ძმობიდან წახვედი. უკურნებელმა სენმა ჩამოგაშორა ოჯახს, მეგობრებს, საზოგადოებას. 25 ივლისს 69 წელი შეგისრულდებოდა, ჩვეულებრივად ვემზადებოდით ამ დღის აღსანიშნავად, როგორც ყოველთვის. მაგრამ, სამწუხაროდ... 24ივლისს შენი ამ ქვეყნიდან წასვლის მე-40 დღე აღვნიშნეთ.

მოუშუშებელია ის დიდი მწუხარება, რაც შენმა გარდაცვალებამ მიაყენა შენს მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, რძლებს. პირადად მე, ჩვენ ხომ სიყრმის ძმა და მეგობარი ვიყავით 1956 წლიდან. ამ სტრიქონებს რომ ვწერ, თვალების ცრემლებით მევსება. ჩვენი შეხვედრის სურვილს ვიკლავ იმით, რომ ყოველდღიურად ვნახულობ შენს სახეს, ვიდეო ფირის მეშვეობით, რომელიც სკოლის დამთავრების 50 წლისთავს მიეძღვნა. შენ ხომ მეგობრობის ბურჯი იყავი. ძნელია ასეთ ადამიანთან განშორება. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

შენი სიყრმის ძმა და მეგობარი
რომან ცხომელიძე.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია იუწყება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მედია-პროექტების მენეჯერის და საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის თანადამფუძნებლის, ჟურნალისტ **ია გეგეშიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილები: ლია, ნანი დოლიძეები, რძალი ლამარა ცხვირავაშვილი, სიძეები: მამია გოთუა, ვანო ჩხარტიშვილი, გიორგი ჩაფიჩაძე, შვილიშვილები ნანა გოთუა, მარიკა, თენგო, ქეთი დოლიძეები, ნათია მიშიკო ჩხარტიშვილები, თათუნა სვანიძე, ნანუ გაბუნია, მაზლიშვილები ნუნუ, მიშა დოლიძეები, დიშვილები, ძმიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე (ლეო) პავლეს ასული სოსელია-დოლიძე

დაიკრძალა 28 ივლისს.

ქეთევან ჭანუყვაძე, შალვა ჩხარტიშვილი, მარინა ჩხარტიშვილი, მერაბ სიჭინავა თანაუგრძნობენ ლია და მამუკა გოთუებს, ნანი, მარიკა, თენგო, ქეთი დოლიძეებს, ვანო და ნანა ჩხარტიშვილებს დედის და ბებიის **ლეო დოლიძის** გარდაცვალების გამო.

მურმან დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს ლია და მამუკა დოლიძეებს დედისა და სიდედრის **ლეო დოლიძის** გარდაცვალების გამო.

ლატვიის მოდების თეატრის დირექტორი, არაერთი ფესტივალის დამფუძნებელი და პრეზიდენტი გინტა ტრაილე თანაუგრძნობს ჩიხლაძეების ოჯახს ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ედელვაისის" ხელმძღვანელის **იური ჩიხლაძის** გარდაცვალების გამო.

ლიტვა-საქართველოს მეგობრობის ცენტრის, ესპანეთის, საფრანგეთის, ლიტვის ფესტივალების პრეზიდენტი მარიანა სლენენე თანაუგრძნობს ჩიხლაძეების ოჯახს ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ედელვაისის" ხელმძღვანელის **იური ჩიხლაძის** გარდაცვალების გამო.

ლიტვა-საქართველოს მეგობრობის ცენტრის თანათავმჯდომარე, გურიის თატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე ვასილ ჩიგოგიძე თანაუგრძნობს ჩიხლაძეების ოჯახს ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ედელვაისის" ხელმძღვანელის **იური ჩიხლაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია იუწყება ხალხური საკრავების ცნობილი ოსტატის, ანსამბლების „ედელვაისისა" და „პირველი სხივის" ხელმძღვანელის **იური ჩიხლაძის** ტრაგიკულ დაღუპვას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები შოთა ცხომელიძე, ავთო სურგულაძე, გია თავბერიძე, ამირან გოგიტაური, ნუგზარ ასათიანი, ჯანვერდი ცეცხლაძე, ავთო თავართქილაძე, გია ქერქაძე იუწყებიან **იური ჩიხლაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პრეზიდენტის კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის კულტურის სამსახურის უფროსი ლეილა ლეკაშვილი თანაუგრძნობს ჩიხლაძეების ოჯახს ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ედელვაისის" ხელმძღვანელის **იური ჩიხლაძის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი იუწყება კულტურის ცენტრთან არსებული ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ედელვაისის" ხელმძღვანელის **იური ჩიხლაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი იუწყება ხალხურ საკრავთა ანსამბლ „ედელვაისის" ხელმძღვანელის **იური ჩიხლაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru
კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე